ოქმი N12

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

2020 წლის 28 ოქტომბერი

ქ. ხობი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგის გაცნობამდე ისაუბრა 31 ოქტომბერს დანიშნულ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ წინა საარჩევნო პერიოდი მიმდინარეობს მშვიდ და დემოკრატიულ ვითარებაში, კანონის სრული დაცვით. დარწმუნებულია, რომ მოსახლეობა ისევ გააკეთებს სწორ და სამართლიან არჩევანს, რათა ქვეყანამ ისევ გააგრძელოს სწორი გზით სვლა, რომელიც განვლილ რვა წელთან შედარებით ბევრად უკეთესი იქნება.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ჭოხონელიძე, ტ. ალექსანდრია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხის განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხდომას ავადმყოფობის გამო, ვერ ესწრებოდა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია), გამომდინარე აქედან სთხოვა, ამავე კომისიის წევრს გენადი ქაძანაიას წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. ქაძანაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება (ს/კ 45.16.22.247), ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულის 101,65 კვ.მ და მეორე სართულზე 336,5 კვ.მ გადაეცემა გაერთიანებას შუა ხორგის საბავშვო ბაღის განთავსებისთვის, სარგებლობის უფლებით, (უზუფრუქტის ფორმით), უსასყიდლოდ, არსებობის ვადით. რაზედაც მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჭოხონელიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N30 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2020 წლის 28 ოქტომბრის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. დოდო გაბუნია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. ტარიელ ალექსანდრია
7. კახა ლატარია
8. ბექა მამაცაშვილი
9. მერაბ ფილიპია
10. ფრიდონი შონია
11. აკაკი ხურცლავა
12. გოჩა ჯობავა
13. დავით ცინაძე
14. კქახა მიქაბერიძე
15. გოჩა სიჭინავა
16. მზია ლემონჯარია
17. ნიკოლოზ ვეკუა
18. გენადი ქაძანაია
19. კობა გოქაძე
20. შადიმან ჭილაია
21. გია წულაია
22. ავთანდილ ხუნჯუა
23. დიტო ხასია
24. კოსტანტინე ნასარაია
25. იგორ გოგოლაძე
26. მერაბ ნადარაია